საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს
ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის
გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს
პოლიციის VII განყოფილება

MINISTRY OF
INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA
TBILISI POLICE DEPARTMENT
GLDANI-NADZALADEVI DIVISION
POLICE VII UNIT

MIA 2 19 01837701

13/07/2019

შპს კავკასიის უნივერსიტეტს
მისამართი: ქ. თბილისი 0141, ჩარგლის ქუჩა N73

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მე-7 განყოფილების წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის N001140119013 საქმეზე შეწყდა გამოძიება 2019 წლის 25 აპრილის დადგენილებით საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თანახმად.

დანართი: დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ

პატივისცემით,

შსს ქ.თბილისის პოლიციის დეპარტამენტის
გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის
მე-7 განყოფილების გამომძიებელი
პოლიციის უფროსი ლეიტენანტი
მარიამ გელიაშვილი

კავკასიის საერთაშორისო
უნივერსიტეტი
რეგისტრაციის № 04-968
"18" 07 2019 წ.

0178, ქ. თბილისი, თემქის დასახლება მე-9 კვარტალი
ტელ.: (+995 032) 241 46 39; 241 46 33

IX quarter, Temka settlement, 0178, Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 032) 241 46 39; 241 46 33

დადგენილება
სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ

25.04.2019 ქ.თბილისი

დადგენილების შემდგენი პირი : ზაზა კვირკველია , თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის პროკურორი

საქმის № : 001140119013

საქმის ფაქტობრივი გარემოებები : 2019 წლის 14 იანვარს შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N001140119013 საქმეზე, შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში" ყალბი დიპლომის შესაძლო გაცემის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

გამოძიებით დადგენილი გარემოებები:

გამოძიებას საფუძვლად დაედო საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 03 იანვრის წერილი, რომელშიც ასახული იყო შემდეგი ინფორმაცია: საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემოვიდა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორის კახაბერ კორძაიას წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი 1647531; 24/12/18) რომელიც ეხება 2018 წლის 22 დეკემბერს ,,ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის გადაცემაში ,,შაბათის კურიერი“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიმართ გამოთქმულ ბრალდებებს, უნივერსიტეტის მიერ აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეებზე სავარაუდოდ ყალბი დიპლომების გაცემასთან დაკავშირებით.
ვინაიდან ,,ტელეკომპანია რუსთავი 2“-ის გადაცემაში აღნიშნული საკითხი, ყალბი დიპლომების გაცემასთან დაკავშირებით, შესაძლოა შეიცავდეს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულის ნიშნებს გიგზავნით კახაბერ კორძაიას წერილს შემდგომი რეაგირების მიზნით.
გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის 22 დეკემბრის ,,შაბათის კურიერი“-ს ეკო მაღრაძის სიუჟეტში საუბარია მასზედ, რომ ქ.თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73-ში მდებარე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში გაიცემა ყალბი დიპლომები აზერბაიჯანის მოქალაქეებზე, სიუჟეტში მითითებულია კონკრეტული პიროვნება აზერბაიჯანის მოქალაქე მირჯალალ კანგარლი (Mirjalal kangarli) დაბ. 06.07.1992 წელს, პირადი ნომრით AZE06550879. ჟურნალისტი სიუჟეტში განმარტავს, რომ აღნიშნულ პიროვნებაზე ანონიმური წყაროს ინფორმაციით გაიცა ყალბი დიპლომი, მაშინ როდესაც იგი საერთოდ არ არის საქართველოში ნამყოფი სწავლის პერიოდში და არ არის დაფიქსირებული მის მიერ სახელმწიფო საზღვრის კვეთა. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის 2019 წლის 17 იანვრის პასუხის მიხედვით მირჯალალ ზეინალოვმა (პასპორტის ნომერი P4028426) 2013 წლის 16 ოქტომბერს უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურში წარმოადგინა განცხადება სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ და საჭირო დოკუმენტაცია. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2014 წლის 20 იანვრის N18762 გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნა მირჯალალ ზეინალოვის მიერ აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის მიერ გაცემული დიპლომი ბაკალავრის უმაღლესი პროფესიული ხარისხი სპეციალობით - ეკონომიკა. საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 იანვრის N133 ბრძანებით მირჯალალ ზეინალოვს მიენიჭა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება. მინისტრის ბრძანების საფუძველზე რექტორის 2014 წლის 4 აპრილის N02-186 ბრძანებით მირჯალალ ზეინალოვი ჩაირიცხა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რაც 2014 წლის 14 აპრილის N843 წერილით ეცნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მირჯალალ ზეინალოვი უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში იხდიდა სწავლის ღირებულებას, რეგისტრირდებოდა პროგრამით გათვალისწინებულ საგნებზე და როგორც ყველა სხვა სტუდენტი, შუალედური გამოცდებით, შუალედური შეფასებებით და დასკვნითი გამოცდებით აბარებდა სასწავლო კურსებს.

მან ვერ შეძლო პროგრამით გათვალისწინებულ 2 წელიწადში საკმარისი კრედიტების დაგროვება (საგნების ჩაბარება) და ჩარიცხვიდან 3 წელიწადში - 2017 წლის 9 თებერვლის ბიზნესის ფაკულტეტის N4 გადაწყვეტილებით მირჯალალ ზეინალოვს მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრატორების მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში, ხოლო რექტორის 2017 წლის 10 თებერვლის N02-39 ბრძანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი კვალიფიკაციის დიპლომის გაცემის შესახებ.

დიპლომის დამზადებამდე და გაცემამდე, 2017 წლის 6 მარტს მირჯალალ ზეინალოვმა წარმოადგინა განცხადება, რომლითაც მოითხოვა დიპლომის გაცემა შეცვლილ გვარზე - ,,ქანგარლი“ და თან დაურთო აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ბაქოს N1 ,,ასან მომსახურების“ მიერ გაცემული მოწმობა გვარის ცვლილების შესახებ და ახალი პასპორტი (პასპორტის ნომერი C01520604). წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე მომზადდა რექტორის 2017 წლის 6 მარტის N02-95 ბრძანება კურსდამთავრებული მირჯალალ ზეინალოვის გვარის ცვლილებებისა და შეცვლილ გვარზე დიპლომის გაცემის შესახებ. აღნიშნული ცვლილების შესახებ 2017 წლის 3 აპრილის N1528 წერილით ასევე ეცნობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

2017 წლის 27 მარტს მირჯალალ ქანგარლის სახელზე გაიცა მაგისტრის დიპლომი N CIU000070 (სარეგისტრაციო 001099). კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წერილს ერთვის მასში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი დოკუმენტაცია მათ შორის არის მირჯალალ ქანგარლის სახელზე გაცემული დიპლომი.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა წარმოადგინა მირჯალალ ქანგარლის სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, კერძოდ საგნობრივი უწყისები 18 ფურცლად, სამაგისტრო ნაშრომი 80 ფურცლად, მირჯალალ ქანგარლისთვის გაგზავნილი წერილი უნივერსიტეტის მიერ 1 ფურცლად და მირჯალალ ქანგარლის წერილი თარგმნილი და ნოტარიულად დამოწმებული 7 ფურცლად.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ვერ იქნა ნანახი უნივერსიტეტის მიერ რაიმე სახის დარღვევა, 2019 წლის 7-8 თებერვალს მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი უნივერსიტეტში, რომლებიც შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორს, კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ადმინისტრაციული სამსახურების წარმომადგენლებს, დეკანებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. შესწავლილი იქნა უსდ-ს მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, სტუდენტთა პირადი საქმეები, ასევე ექსპერტტა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტები. შესწავლილ იქნა იმ აზერბაიჯანელი სტუდენტის პირადი საქმე, ცარიცხვასა და საზღვრის კვეთის, კვალიფიკაციის მინიჭების

დოკუმენტაცია, სამაგისტრო ნაშრომი და მისი შეფასება, რომელზეც საუბარი იყო ზემოთხსენებულ სატელევიზიო სიუჟეტში. დადგინდა, რომ აზერბაიჯანელმა სტუდენტმა დიპლომის მიღებამდე შეიცვალა გვარი და უნივერსიტეტს მიმართა მაგისტრის დიპლომის ახალ გვარზე გაცემის თხოვნით, ხოლო უნივერსიტეტმა ყველა სამართლებრივი ნორმის დაცვით გასცა დიპლომი. ამდენად უნივერსიტეტმა ყველა სამართლებრივი ნორმის დაცვით გასცა დიპლომი. ამდენად, საქმის წარმოების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დააფიქსირა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც პირდაპირი ან ირიბი გზით ადასტურებს უნივერსიტეტის მიერ ყალბი დიპლომის გაცემას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის სასაზღვრო მონიტორინგისა და რისკების შეფასების განყოფილების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად მოქალაქე – MIRJALAL KANGARLI-ს (ZEYNALOV) (დაბ. 06.07.1992წ.) მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის ფაქტები სასაზღვრო გამტარი პუნქტების გავლით 2010 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 5 მარტამდე დაფიქსირდა ს.ს.კ.გ. "წითელი ხიდი"-ს, ს.ს.კ.გ. "ცოდნა"-ს და ს.ს.კ.გ. "თბილისის აეროპორტი"-ს გავლით. 2017 წლის 1 მარტს და მანამდე საქართველოს საზღვარი გადაკვეთილი აქვს მირჯალალ ზეინალოვის სახელით, ხოლო 2017 წლის 3 მარტს და შემდგომ მირჯალალ ქანგარლის სახელით.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გამოკითხული იქნენ მოწმეები: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ლექტორი - კახაბერ კორძაია, ასევე ლექტორები: ნუგზარ სიხარულიძე, ნინო მინდიაშვილი, თეა ლაზარაშვილი, რუსუდან დალაქიშვილი - ჭიჭინაძე, თეა კასრაძე, მამუკა თორია და ნუგზარ ცინცაძე, რომლებმაც დაადასტურეს მირჯალალ ზეინალოვის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სწავლის ფაქტი.

გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები : საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით დასჯად ქმედებას წარმოადგენს ყალბი პირადობის მოწმობის ან სხვა ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის შტამპის ან ბლანკის დამზადება, შეძენა, შენახვა, გასაღების ან გამოყენების მიზნით, გასაღება ან გამოყენება, რაც საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზით არ დადასტურდა.

საქართველოს სსსკ-ის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოძიება უნდა შეწყდეს, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეწყდეს თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.

მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის N001140119013 საქმეზე გამოძიება უნდა შეწყდეს ვინაიდან ჩატარებული გამოძიებით არ დასტურდება, როგორც საქართველოს სისხლის სამართლოს კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული, ასევე სხვა რომელიმე დანაშაულის ნიშნები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 106-ე მუხლით;

დავადგინე

1. სისხლის სამართლის N001140119013 საქმეზე შეწყდეს გამოძიება, ვინაიდან არ არსებობს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება.
2. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ საქართველოს სსსკ-ის 106-ე მუხლით გათვალისწინებულ პირებს და განემარტოთ დადგენილების გასაჩივრების უფლება და წესი.

დადგენილების შემდგენი პირის ხელმოწერა:

ზაზა კვირკველია